განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

13 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

9 დეკემბერი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ოკუპაციური თერაპია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0915 თერაპია და რეაბილიტაცია |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>(აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N11 16.09. 2011.) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე ფხაკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ფანცულაია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ვლ. ზახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა ადამია - დავით ტატიშვილის რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის ცენტრი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანა ბოკუჩავა - უნივერსიტეტი „ნიუ ვიჟენი“, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ამოქმედდა 2006 წელს, აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს ( № 11, 16.09.2011). აღნიშნული პროგრამა საქართველოში ერთადერთი საგანმანათლებლო პროგრამაა ოკუპაციურ თერაპიაში, რომელიც ამზადებს დარგის სპეციალისტებს და შესაბამისად, განსაკუთრებულია მისი მნიშვნელობა და საჭიროება ქვეყანაში ოკუპაციური თერაპიის დარგის განვითარებაში, თავად ოკუპაციური თერაპია შედარებით ახალია ქართული რეალობისათვის ვინაიდან მისი, როგორც დარგის, დანერგვა საქართველოში პირველად 2001 წელს CORDAID-ისა და შემდეგ TEMPUS-ის პროექტებით დაიწყო. პროექტის დირექტორი და პროგრამის თანაავტორი, დოქტორი ჯოანა (ჰანეკე) ვან ბრუგენი, დღეს პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტია.
ოკუპაციური თერაპიის პროგრამა 2006-2018 წლებში ხორციელდებოდა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე, 2018-2019 სასწავლო წლიდან კი პროგრამას უზრუნველყოფს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, დაწესებულება ხაზს უსვამს აღნიშნული გადაწყვეტილების დადებით მხარეებს და აღნიშნავს დარგის ცნობადობის გაზრდას, ფსიქოლოგიის სტუდენტებთან ინტეგრაციის მაღალ ხარისხს, ერთობლივად განხორციელებული პროექტების ეფექტურობას და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოსვლის შემდეგ გამოცხადებული ადგილების სრულად შევსებას პროგრამის არსებობის ისტორიაში პირველად, იყენებს ემპირიულ მტკიცებულებად.
პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი, უზრუნველყოფილია შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს უწყებებთან - სოციალური მომსახურების სააგენტო; ადამიანით ვაჭრობის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; ოკუპაციური თერაპიის ევროპული ქსელი უმაღლეს განათლებაში (ENOTHE); ჯანმრთელობის დამხმარე პროფესიების უმაღლესი სკოლა (SAH); ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრი (NDC); მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის (MAC).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 6 20 0000985287, 13/10/2020 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 13 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); ია ფანცულაია (წევრი); თეა ადამია (წევრი), ლანა ბოკუჩავა (წევრი) განახორციელა ონლაინ ვიზიტი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ოკუპაციური თერაპიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. სრული შესაბამისობა
სტანდარტი 2. მეტწილი შესაბამისობა
სტანდარტი 3. სრული შესაბამისობა
სტანდარტი 4. სრული შესაბამისობა
სტანდარტი 5. სრული შესაბამისობა

- **რეკომენდაციები**

2.2.

- საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების სრულყოფისათვის რეკომენდებულია სამედიცინო კურსებთნ ინტეგრირებული მოდულების შემუშავება, შემდეგი

სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება: რეაბილიტაცია; პირველადი დახმარება; ბიომექანიკა შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით.

- რეკომენდირებულია შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში.
- სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზისო კურსის განსაზღვრა.

2.5.

- რეკომენდებულია პორტფოლიოს წარმოების სწავლება პროგრამის ადრეულ ეტაპზე; რეკომენდებულია სტუდენტებისათვის ასარჩევი პრობლემების პროექტების სტანდარტიზირება

2.6.

○ რეკომენდებულია მეტად სტანდარტიზებული შეფასების კომპონენტების შემუშავება, რათა შეფასების სისტემა იყოს ობიექტური და გამოირიცხოს სუბიექტივიზმის ელემენტები; ასევე დასწრების კომპონენტის მაქსიმალურად შემცირება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტის მიღწევების შეფასების სარწმუნოებას.

4.3. მოხდეს ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების პერიოდში. განახლდეს მოძველებული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დაწესებულებების მიერ ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების მონაწილეობასა და გამოცდილების გაზიარებას, თანამედროვე უცხოურ ლიტერატურაზე წვდომის გაუმჯობესებას, რაც თავისთავად, საბოლოო ჯამში ორიენტირებული იქნება დარგის განვითარებაზე.

2.3. სასწავლო კურსებში ECTS კრედიტის შესაბამისი საათების განაწილებაში აისახოს საგამოცდო საათების მოცულობა.

2.5. კლინიკური სასწავლო კურსების სწავლებისას სასურველია კლინიკური უნარჩვევების ცენტრის გამოყენებაც.

3.1. სტუდენტების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში.

4.1. შესაძლებელია გარკვეული სასწავლო კურსების ინტეგრირება, სამედიცინო მიმართულების კურსების ჩათვლით. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში

დამატებით მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართვა და მათი რაციონალური გამოყენება.

4.3. სასურველი იქნება სტუდენტებისათვის შეთავაზებული იყოს მულტიპროფილურ სამედიცინო კლინიკებში პრაქტიკის შესაძლებლობა, რაც გააფართოვებს მათ კლინიკურ აზროვნებას, ასევე ახალი ბაზების არსებობა ხელს შეწყობს ოკუპაციური თერაპიის პოპულარიზაციას.

4.4. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მხარდასაჭერად დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ასევე ბიუჯეტში წიგნადი ფონდის რეგულარული განახლების გათვალისწინება, რაც პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან სრულ თანხვედრაში იქნება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ევროპელი პარტნიორების (კარლ-რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის, გერმანია) გამოცდილების გაზიარების საფუძველზე უნივერსიტეტში დაინერგა კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების განმავითარებელ შეფასებას და წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესის ერთგვარ სიმულაციას. ამ ტიპის ინიციატივა ახალია ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. აღნიშნული ტიპის შიდა შეფასების ვიზიტი განხორციელდა თსუ განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე 2019 წლის 8 ნოემბერს საბაკალავრო პროგრამის „ოკუპაციური თერაპია“ განმავითარებელი შეფასების მიზნით.
ვიზიტის დროს შეხვედრები გაიმართა ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებსა და სტაჟირება/პრაქტიკის განმახორციელებლებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკები, აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები. შეფასების პროცესი გამჭვირვალე და კოლეგიალურია, მხარდაჭერილია ფაკულტეტების მიერ. შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** <br><br> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა საქართველოში ერთადერთი საგანმანათლებლო პროგრამაა ოკუპაციურ თერაპიაში, რომელიც შეიქმნა (TEMPUS-MP-JEP-23154-2002) პროექტის ფარგლებში, პროგრამის მიზანია ქვეყნისათვის პრაქტიკოსი ოკუპაციური თერაპევტების მომზადება, რომლებიც ამ დარგის საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს გამოიყენებენ პროფესიული საქმიანობისას ოკუპაციური საჭიროების მქონე ადამიანთან, ჯგუფსა თუ თემთან, ამასთანავე, პროგრამის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ოკუპაციური თერაპიული მომსახურებების განვითარებაში წვლილის შეტანა, პროგრამის მიზანი დეტალურად არის ჩამოყალიბებული, სტუდენტებისათვის მიღწევადია საერთაშორისო კომპეტენციებზე (Tuning Project) დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფით, მასში ინტეგრირებულია პროგრამის შედეგებიც. <br><br> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალდარგოვანი უნივერსიტეტია, რომლის მისიაა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ პროგრამას საქართველოში არ აქვს ანალოგი, იგი ამ მხრივაც ეხმაურება გაცხადებულ მისიას, ღირსეულად ატაროს საქართველოს პირველი უნივერსიტეტის სახელი და ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას. <br><br> პროგრამის მიზნები არ არის განყენებული შრომის ბაზრის საჭიროებებისგან, ითვალისწინებს დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, შრომის ბაზრის მხრიდან ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტებზე მაღალ მოთხოვნას ასევე ამყარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და |

სპორტის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროგრამები, სადაც განსაზღვრულია ოკუპაციური თერაპევტის როლი და მისი წვლილი მულტიდისციპლინურ გუნდში.

კადრების მწვავე დეფიციტი და მაღალი მოთხოვნა ოკუპაციურ თერაპევტებზე ასახულია კურსდამთავრებულთა მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად 100 % დასაქმებაში.

პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამის განმავითარებელი ჯგუფისა და განმახორციელებელი პერსონალის მიერ, იგი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების კითხვარი
- თსუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები
- თსსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები
- ჩატარებული გამოკითხვის შედეგები (ბაზრის კვლევა,დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები)
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამაში დეტალურადაა აღწერილი 9 ძირითადი სწავლის შედეგი, რომელთა თანახმად კურსდამთავრებული:

- განიხილავს პიროვნებას ჰოლისტურად, ითვალისწინებს რა მის ფიზიკურ, გონებრივ, ემოციურ და სულიერ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და პოტენციალს;
- ხსნის ადამიანის/ჯგუფის/თემის საქმიანობასა და მის სირთულეებს ოკუპაციური თერაპიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირების საერთაშორისო მოდელების გამოყენებით (როგორებიცაა: ადამიანის ოკუპაციის მოდელი (MOHO), ოკუპაქციური ქმედების კანადური მოდელი (CMOP), ფუნქციუონირების, ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICF) და სხვა);
- არგუმენტირებულად მსჯელობს თერაპიულ მეთოდებზე, სტრატეგიებსა და მიდგომებზე და მათი გამოყენების პრინციპებზე (როგორებიცაა: კლიენტზე ცენტრირებული მიდგომა, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, პრევენცის, განათლების სტრატეგიები და ა.შ.);
- ქმნის სხვადასხვა ასაკის, საჭიროებისა და რესურსების მქონე ადამიანის, ჯგუფისა და თემის ოკუპაციურ პროფილს ოკუპაციური თერაპიის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
- იყენებს საქმიანობებს/ოკუპაციას ადამიანთან, ჯგუფთან და თემთან მტკიცებულებაზე დაფუძნებული თერაპიული მუშაობისას;
- იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან გზებსა და სტრატეგიებს კლიენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას;
- დამოუკიდებლად ახორციელებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკას ინდივიდთან, ჯგუფთან და თემთან პროფესიული ეთიკის, მომსახურებისა და დოკუმენტირების წესების დაცვით;
- დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს;
- მონაწილეობს პროფესიის შესახებ საზოგადოების განათლებასა და მომსახურების განვითარებაში.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი კურსის დასრულებისას შეფასდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის დონის დასადგენად, პროგრამაში აღწერილია და თანდართულ დოკუმენტებში (დანართი 9) წარმოდგენილია

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;
- ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსების შესაბამისობა (კურიკულუმის რუკა);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა.

უკანასკნელი რუკები ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებითა და აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები, ჩანს ესა თუ ის სასწავლო კურსი თუ რა დონით ავითარებს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში კურიკულუმის რუკის საშუალებით პროგრამის შედეგების ანალიზის შედეგად დამატებით დაზუსტდა სასწავლო კურსები პროგრამაში და განსახილველად დაეგზავნა განმახორციელებელ სპეციალისტებს,

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულმა დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევამ წარმოაჩინა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ფოკუსირების აუცილებლობა. მიღებული უკუკავშირით მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების საბოლოოდ ჩამოყალიბება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ მისია https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/792018//ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა
- Tuning Project. Tuning Educational Structures in Europe. Reference Points for the Design and Delivery of Degree Programmes in Occupational Therapy.ხელმისაწვდომია: http://tuningacademy.org/wp-ontent/uploads/2014/02/RefOccupationalTherapy_EU_EN.pdf
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

| |
|---|
| ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს, დაშვების წინაპირობების თანახმად პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით. პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. |

პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ელექტრონულ ბაზაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.

მიღების პირობები, ასევე, განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით, კერძოდ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი მოთხოვნაა უცხო ენად ინგლისური. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მათ მიმდინარე სასწავლო წელს ინგლისურ ენაში გადასალახი მინიმალური ბარიერი განსაზღვრეს 41 %-ით.

ინფორმაცია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ ვრცელდება უნივერსიტეტის პროგრამების კატალოგში, ვებ-გვერდზე შესაბამისს ველში, ზიარდება ღია კარის დღეებზე; სოციალური ქსელების, საინფორმაციო შეხვედრებისა და სხვა აქტივობების მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ერთიანი ეროვნული გამოცდების აბიტურიენტების ცნობარი: https://naec.ge/uploads/postData/20- 20/
- საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი: https://www.tsu.ge/ge/study/catalogue/

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დაწესებულებების მიერ ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების მონაწილეობასა და გამოცდილების გაზიარებას, თანამედროვე უცხოურ ლიტერატურაზე წვდომის გაუმჯობესებას, რაც თავისთავად, საბოლოო ჯამში ორიენტირებული იქნება დარგის განვითარებაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამა „ოკუპაციური თერაპია“ შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით და ეფუძნება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, პროგრამა თავიდანვე შეიქმნა Tuning Project-ის ფარგლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ კომპეტენციებზე დაყრდნობით, იგი აგებულია ECTS სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 ECTS (1 ECTS შეესაბამება 25 სთ), პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (თითო 60 ECTS), 8 სემესტრი (თითო 30 ECTS), სადაც სავალდებულოა 205 ECTS კრ. (სპეციალობის კურსები 94 ECTS; მომიჯნავე დარგების კურსები 41 ECTS; საფაკულტეტო კურსები 10 ECTS; პრაქტიკა 60 ECTS) არჩევითი 25კრ. და თავისუფალი 10 კრედიტი.

პროგრამია სტრუქტურა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ზოგადი ცოდნიდან კერძოსკენ; ინდივიდთან მუშაობიდან თემთან მუშაობისკენ; მცირე ასაკის პირებთან მუშაობიდან ხანდაზმულ პირებთან მუშაობისკენ. პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, რაც ახდენს სტუდენტის კვლევის, ასევე პროექტის განხორციელების საბაზისო უნარების გამონუშავებას.

პროგრამის პირველი წელი ეთმობა ოკუპაციური თერაპიის ძირითადი ცნებებისა და თეორიების, ასევე ზოგადად თერაპიული პროცესის მიმდინარეობის ძირითადი პრინციპების გაცნობას. მომდევნო ორი წელი მოიცავს ადგილობრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და განათლების კონტექსტებს, პრიორიტეტულ სფეროებსა და მომსახურებებს და ამ სფეროებში ოკუპაციური თერაპევტის მუშაობის სპეციფიკას.

საანგარიშო პერიოდში (პროგრამა აკრედიტირებულია 2011 წელს, № 11, 16.09.2011). პროგრამის შინაარსში შევიდა ცვლილებები, გათვალისწინებული იქნა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების რეკომენდაციები, გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის „ოკუპაციური თერაპია“ განმავითარებელი შეფასების შედეგები, კერძოდ:

გაიზარდა არჩევითი კურსების მოცულობა 6 კრედიტიდან 25 კრედიტამდე, გაიზარდა სასწავლო პრაქტიკის მოცულობა - 48 კრედიტიდან 60 კრედიტამდე, განახლდა და დაზუსტდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მიზნები, დაიხვეწა შედეგების

ფორმულირება, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლა-სწავლების მეთოდები; განახლდა ლიტერატურა, შეიცვალა ცალკეული სასწავლო კურსის ავტორები/ლექტორები.

პროგრამა არის კომპლექსური და მოცულობითი, სტრუქტურა თანმიმდევრულია და კომპონენტები ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია, თუმცა სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად აუცილებელია ბიომექანიკის საბაზისო კურსის გათვალისწინება.

ამერიკის ოკუპაციური თერაპიის ასოციაციის (AOTA) თანახმად, ოკუპაციურ თერაპიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებაში და თანამედროვე მედიცინის სხვადასხვა დარგში სულ უფრო იზრდება ოკუპაციური თერაპიის გამოყენების შესაძლებლობები, ამიტომ აუცილებელია კურსდამთავრებულს გააჩნდეს რეაბილიტაციის და პირველადი დახმარების საბაზისო ცოდნა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამას სრულყოფს შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსების ჩართვა, როგორიცაა: რეაბილიტაცია; პირველადი დახმარება; ბიომექანიკა.

მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან სრული შესაბამისობის და სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდირებული იქნება შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში.

მითუფრო, როდესაც აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები თანხვედრაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან კერძოდ: აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ემთხვევა საბაკალავრო პროგრამის შემდეგ სწავლის შედეგებს (PLO2): კურსდამთავრებული ხსნის ადამიანის/ ჯგუფის /თემის საქმიანობას და მის სირთულეებს ოკუპაციური და ფუნქციონირების საერთაშორისო მოდელების გამოყენებით.

ამდენად, არჩევითი კურსის სტატუსის ფარგლებში კურსდამთავრებულის სწავლის შედეგზე გაყვანა ყველა შემთხვევაში ვერ მოხდება.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულება ხელმძღვანელობდა ოკუპაციური თერაპიის მსოფლიო ფედერაციის (WFOT) მიერ პროგრამის სტანდარტების შესაბამისად დამტკიცების პროცესში მიღებული უკუკავშირის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს პროგრამაში სფეროს თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებას, თუმცა სასურველია დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების უფრო აქტიური ჩართულობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა

| |
|---|
| ○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები, კურიკულუმის რუკა<br>○ დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების სრულყოფისათვის რეკომენდებულია სამედიცინო კურსებთნ ინტეგრირებული მოდულების შემუშავება, შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება: რეაბილიტაცია; პირველადი დახმარება; ბიომექანიკა შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით.<br>○ რეკომენდირებულია შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში.<br>○ სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან" და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები" დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზისო კურსის განსაზღვრა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს |

აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად შემუშავდა სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი რომელი სასწავლო კურსებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის

უზრუნველყოფა. სასწავლო კურსების მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში. სასწავლო კურსისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის, შესასრულებელი დავალებებისა და დასამუშავებელი მასალის მოცულობისა და სირთულის, გამოსაყენებელი სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისია. თუმცა, შევნიშნავთ, რომ სასწავლო კურსებში ECTS კრედიტის შესაბამისი საათების განაწილებაში არ არის ასახული საგამოცდო საათების მოცულობა.

კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები გაზომვადია. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შესაბამისი რუბრიკებით. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია როგორც სავალდებულო, ისე - დამატებითი სასწავლო მასალა. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე. სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მოსაძიებლად გამოყენებულია ყველა სამეცნიერო-სასწავლო რესურსი, რომელზეც წვდომა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ (EBSCO, Cambridge online journals, Oxford journals, SAGE publications, ScienceDirect, JSTOR, SciVerse Scorpus, Springer link, Aluka და სხვ.).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 9)
- შრომის ბაზრის კვლევები და მონაცემები (დანართი 10)
- თსუ-ს საბიბლიოთეკო სამეცნიერო რესურსები (დანართი 17)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასწავლო კურსებში ECTS კრედიტის შესაბამისი საათების განაწილებაში აისახოს საგამოცდო საათების მოცულობა

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ-ს ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კერძოდ, პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკა, 6 სასწავლო კურსის სახით, რომელზეც გამოყოფილია 60 კრედიტი, რაც წინა პროგრამისგან განსხვავებით გაზრდილია. პრაქტიკა მოიცავს, მეორე კურსიდან უშუალოდ მუშაობას ოკუპაციური თერაპიის საჭიროების მქონე პირებთან და გულისხმობს თეორიულად ათვისებული მასალის გადატანას პრაქტიკაში და შესაბამისი უნარების გამომუშავებას.

როგორც დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა პრაქტიკის განხორციელება უზრუნველყოფილია სხვადასხვა ბაზაზე (თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი; თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი; ა(ა)იპ - მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი. კენ ვოლკერის რეაბილიტაციის ცენტრი), რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება და ხორციელდება უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელის ან კურსის პედაგოგის ან ლექტორის მეთვალყურეობის ქვეშ. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, თითოეულ ხელმძღვანელთან შესაძლებელია მაქსიმუმ 2 სტუდენტის მიმაგრება და ეს პრაქტიკა ხორციელდება კვირაში 1 დღე.

სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ოკუპაციური თერაპიის უმაღლესი განათლების ევროპის ქსელის (ENOTHE) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და მიიღონ დაფინანსება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დადგენილი წესის შესაბამისად.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში და ფაკულტეტზე ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტებისთვის, მათ შორის არიან ოკუპაციური თერაპიის სტუდენტებიც, რომელთან მონაწილეობა და ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში შესაძლებელია დაფინანსდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი დ აა(ა)იპ ,,ერთად ერთისთვის'' უნივერსიტეტის სტუდენტებს უფასო ფსიქოლოგიურ მომსახურებას/კონსულტაციას სთავაზობს.

სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სამეცნიერო კონფერენცების/გრანტების/სტუდენტური კონკურსების შესახებ, ასევე თსუ-ს ფაკულტეტის ვებგვერდზე მუდმივად იტვირთება ყველა ახალი ინფორმაცია.

სტუდენტთა ჩაბმა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში ხელს უწყობს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, გარდა ამისა, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები აქტუალურ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე, გამოფენები, საჯარო ლექციები, ტრენინგები სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პრაქტიკები, სამეცნიერო ექსპედიციები, შეხვედრები საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, სპორტისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან და სხვ. უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებთან, ერთობლივი პროექტებისა და სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ–მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებით. ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე სტუდენტთათვის რეგულარულად იდება უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებ–გვერდზე. თუმცა, ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უმეტესად ინფორმაციას იღებენ ადმინისტრაციული პირისგან და სხვადასხვა საჭიროებებისას არჩევენ მასთან ურთიერთობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (**დანართი 1**)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (**დანართი 9**)
- შრომის ბაზრის კვლევები და მონაცემები (**დანართი 10**)
- ინტერვიუს შედეგები
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები (**დანართი 11**)
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული კურსის სწავლების მეთოდები ძალიან მრავალფეროვანია (დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული). ფაქტიურად გამოყენებულია ყველა თანამედროვე მეთოდი პრაქტიკული ცოდნის მისაღებად, თუმცა აღნიშნული მეთოდები ერთნაირად გაზიარებულია უმრავლესობა კურსების ავტორების მიერ მიუხედავად სასწავლო კურსების სპეციფიკისა.<br><br>პროგრამაში მთავარი სუბიექტი სტუდენტია და ის აქტიურად მონაწილეობს, როგორც სწავლაში, ასევე შეფასებაში. კერძოდ პრაქტიკა ფასდება ერთდროულად სტუდენტის, ლექტორის და პრაქტიკის ზედამხედველის (სუპერვაიზერის) მიერ. ეს პროცესი მართალია ეფექტურია მცირე ჯგუფებში რამდენადაც ძალიან შრომატევადია. ამდენად, სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ასეთ რეჟიმში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გართულდება.<br><br>სტუდენტების ერთ-ერთი შეფასების ინსტრუმენტია პორტფოლიოს წარმოება. კურიკულუმში პორტფოლიოს წარმოების ასათვისებლად შექმნილია 2 კურსი (1 და 2 კრედიტიანი) რომელიც ისწავლება მე-3 და მე-8 სემესტრში. ალბათ სასურველია ამ კურსის |

| |
|---|
